



ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი



ქ. თბილისი

„ — “ ----- 200 წელი

იმის გათვალისწინებით, რომ ტურიზტული სექტორის განვითარება დღეს ჩვენი ქვეყნისა და ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტია, ეს მიზანი კი ვერ მიიღწევა ცოდნისა და მომხმარებლის დასაცავი სტანდარტების შესაბამისი სპეციალისტების არსებობის გარეშე, ასეთი სპეციალისტების აღზრდა კი შეუძლებელია ახალი ტიპის სწავლების დანერგვის და ახალი მენეჯერული პროგრამების მომხმარებლის, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების გარეშე, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი და ცული ტერიტორიების სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) მისი თავმჯდომარის გიორგი შონგაძის სახით და საქართველოს უნივერსიტეტი (შემდგომში - უნივერსიტეტი) მისი რექტორის მანანა სანაძის სახით ხელს აწერენ მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

მხარეები თანხმდებიან:

- უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ბაკალავრების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის ხელშეწყობას, რათა მათ პროფესიული პრაქტიკა გაიარონ სააგენტოში და დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებში;
- შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყონ უნივერსიტეტის სტუდენტებს პროფესიული პრაქტიკის გავლის შემდეგ, სააგენტოში და დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებში დასაქმების მიმართულებით;
- სააგენტო მონაწილეობას მიიღებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების პრაქტიკული მნიშვნელობის თვალსაზრისით გაუმჯობესებისა და დახვეწის საქმეში;
- უნივერსიტეტის უმაღლესი პროფესიული განათლების პროგრამების სტუდენტების (გიდი-ექსკურსიამპლონი) მიღებას სააგენტოში და დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებში შესაბამისი პროფესიული პრაქტიკის უზრუნველყოფის მიმართულებით.

აღნიშნული მიზნის განხორციელებლად, მხარეები ადგენენ შემდეგს:

- უნივერსიტეტმა და დეპარტამენტმა ერთობლივად:
 - შეიმუშაონ სასწავლო პროგრამები, სადაც გათვალისწინებული იქნება დეპარტამენტის საჭიროებები;
 - რეტიზების მიხედვით შეარჩიონ საუკეთესო სტუდენტები და მაგისტრანტები, სააგენტოში და დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებში პრაქტიკის გავლის და შესაძლებლობის ფარგლებში შემდგომი დასაქმებისათვის;
 - გააგრძელონ და განავითარონ თანამშრომლობა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების გაუმჯობესების და მათში დაცულ ტერიტორიებისთვის კონკრეტული სპეციალისტებზე მოთხოვნის გათვალისწინების მიმართულებით;
 - მხარეთა თანამშრომლობა განხორციელდება 5 წლიანი სამუშაო პროგრამის საფუძველზე, რომელიც დაყოფილი იქნება 1 წლიან შემადგენელ ნაწილებად. ყოველი წლის ბოლოს მხარეების მიერ მოხდება თანამშრომლობის გადახედვა და მომდევნო ერთი წლის ურთობლივი გეგმების განსაზღვრა, რომელშიც გაწერილი იქნება სტუდენტების პრაქტიკის კონკრეტული ვადები.

პროგრამას ამტკიცებს ორივე მხარე.

მხარეები დარწმუნებულნი არიან, რომ მემორანდუმი ხელს შეუწყობს ერთი მხრივ, ქვეყნის ერთერთი სტრატეგიული პრიორიტეტის — საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას და ერთერთი ხელისშემშლელი ხარვეზის, თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი პროფესიული კადრების ხაკლებობის, აღმოფხვრას.

გადასტურებთ:

საქართველოს უნივერსიტეტის რექტორი,

პროფესორი **მ. სანაძე** მ. სანაძე

დაცული ტერიტორიების სააგენტოს

თავმჯდომარე **გ. შონგაძე**